შესავალი

მოცემული ანგარიში წარმოადგენს 2018 წელს საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების მახასიათებლების მიმოხილვას, რომელიც მოწოდებულ იქნა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ.

გამოცემის მთავარ ინტერეს წარმოადგენს დასვენების და ბიზნესის მიზნებთან დაკავშირებული ვიზიტები, ასევე მოგზაურობის განმავლობაში გაწეული დანახარჯები.

საერთაშორისო ტურიზმის მნიშვნელობა

საერთაშორისო მოგზაურობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) მონაცემებით, 2017 წელს ამ დარგის პირდაპირმა კონტრიბუციამ მსოფლიოს მთლიან მშპ-ში 2.6 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა (3.2%) და ხელი შეუწყო 118 მილიონი სამუშაო ადგილის შექმნას. მისი პირდაპირი და გვერდითი ეფექტების მხედველობაში მიღების შემდეგ, აღნიშნული სექტორის წვლილი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში შემდეგია: მსოფლიოს მშპ-ს 10.4%, ერთი ადგილი ყოველი 10 სამუშაო ადგილიდან, 4.5% მთლიან განხორციელებულ ინვესტიციებსა და 6.5% მსოფლიოს მთლიან ექსპორტში.[1]

საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები

2018 წელს საერთაშორისო მოგზაურების[2] ვიზიტების რაოდენობა 8,679,544 იყო, რაც წინა წელთან შედარებით 9.8%-ით მეტია (გრაფიკი1).

გრაფიკი 1: საერთაშორისო მოგზაურების მიერ განხორციელებული ვიზიტები წლების მიხედვით



საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები

2018 წელს საერთაშორისო ვიზიტორების[3] მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობამ 7,203,350 შეადგინა. მათი უმრავლესობა (საქართველოს არარეზიდენტი მოქალაქეების გათვალისწინების გარეშე) 77.3% მეზობელი ქვეყნების რეზიდენტების ვიზიტები იყო. საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობით ლიდერობს აზერბაიჯანი 1,424,610 ვიზიტით, მას მოსდევს რუსეთი 1,404,757, სომხეთი 1,268,886 და თურქეთი 1,098,555 ვიზიტით (ცხრილი 1).

---

[1] Economic Impact of Travel and Turism 2018, Annual Update, WTTC

[2] მოგზაური არის ნებისმიერი ასაკის პირი, რომელიც გადაადგილდება სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალს შორის ნებისმიერი ხანგრძლივობითა და მიზნით. ის გამორიცხავს საქართველოს რეზიდენტ სხვა ქვეყნის მოქალაქეებს და მოიცავს საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც უცხო ქვეყნის რეზიდენტები არიან.

[3] ვიზიტორი არის 15 წლის ან უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი მოგზაური, რომელმაც განახორციელა ვიზიტი საკუთარი ჩვეული გარემოდან საქართველოს ტერიტორიაზე ერთ წელზე ნაკლები დროით. საქართველოში ჩვეული გარემოს განსასაზღვრად შემდეგი მეთოდი გამოიყენება, ჩვეულ გარემოში ითვლება ის ვიზიტები, რომლებიც თვეში 8-ჯერ ან 8-ზე მეტჯერ ხორციელდება.

ცხრილი 1: ტოპ 5 ქვეყანა საერთაშორისო ვიზიტების მიხედვით

ქვეყანა	2017	2018	ცვლ %
აზერბაიჯანი	1,301,556	1,424,610	+9.5%
რუსეთი	1,135,057	1,404,757	+23.8%
სომხეთი	1,287,168	1,268,886	-1.4%
თურქეთი	1,007,276	1,098,555	+9.1%
საქართველო (არარეზ)	456,132	476,389	+4.4%

საერთაშორისო ვიზიტები ძირითადად ზაფხულში ხორციელდება - 2,492,924, (ივნისი: 606,792; ივლისი: 845,588; აგვისტო: 1,040,544) და მთლიანი ვიზიტების 34.6%-ს შეადგენს (გრაფიკი 2).

გრაფიკი 2: საერთაშორისო ვიზიტები თვეების მიხედვით



საერთაშორისო ვიზიტორებმა ყველაზე მეტი ვიზიტი 5,314,984 (+7.2%) სახმელეთო გზით განახორციელეს. საზღვრების მიხედვით ყველაზე მეტი ვიზიტი კი თბილისის აეროპორტის 1,402,157 (+23.7%) სასაზღვრო პუნქტიდან განხორციელდა, მას მოსდევს სარფი 1,296,833 (+17.8%) და ყაზბეგი 1,129,490 (+8%) (ცხრილი 2).

ცხრილი 2: საერთაშორისო ვიზიტები საზღვრის ტიპის მიხედვით

საზღვრის ტიპი	2017	2018	ცვლილ %
სახმელეთო	4,958,039	5,314,984	+7.2%
საჰაერო	1,439,689	1,788,417	+24.2%
სარკინიგზო	53,416	67,478	+26.3%
საზღვაო	31,686	32,471	+2.5%

საერთაშორისო ვიზიტების 66% (4,756,820) საქართველოში ღამისთევას მოიცავდა, რაც ტურიზმის სტატისტიკის საერთაშორისო რეკომენდაციის თანახმად ტურისტულ ვიზიტს ნიშნავს, ხოლო 34% ერთდღიანი ვიზიტები იყო (2,446,530).

როგორია საერთაშორისო ვიზიტების ძირითადი მიზნები?

საერთაშორისო ვიზიტების უმრავლესობა (42.7%) დასვენება, გართობა, რეკრეაციის მიზნით განხორციელდა. ხშირად დაფიქსირებულ მიზნებს შორის არის მეგობრების/ნათესავების მონახულება (20.3%), ტრანზიტი (16.5%), პროფესიული, ეკონომიკური საქმიანობა (8.7%) და შოპინგი (6.9%). ვიზიტების მხოლოდ 2.2%-ის შემთხვევაში დასახელდა ვიზიტის სხვა მიზანი (გრაფიკი 3).

გრაფიკი 3: ვიზიტის მთავარი მიზანი



ზაფხულის პერიოდში ვიზიტების ნახევარზე მეტი (51.2%) ქვეყანაში დასვენების, გართობისა და რეკრეაციის მიზნით განხორციელდა. ანალოგიური მიზნით ზამთრის სეზონზე (მოიცავს იანვარსა და თებერვალს) ვიზიტების რაოდენობამ 31.7% შეადგინა. მეორე ადგილზე ვიზიტების 30.9%-ით მეგობრების და ნათესავების მონახულება იყო.

რა არის საქართველოში პირველადი ვიზიტების წილი?

საერთაშორისო ვიზიტების 72.9% განმეორებით ვიზიტს წარმოადგენდა საქართველოში, ხოლო 27.1% კი პირველადს. შესაბამისად 2018 წელს საქართველოში 1,949,053 პირველადი ვიზიტი განხორციელდა.

მეზობელი ქვეყნის რეზიდენტების უმრავლესობისთვის საქართველოში ვიზიტი პირველი არ იყო. განმეორებითი ვიზიტი ყველაზე ხშირ ხასიათს სომხეთის რეზიდენტების ვიზიტებში ატარებს 99.1%, შემდეგ მოდის აზერბაიჯანი 95.6%, თურქეთი 71.4% და რუსეთი 66%. სხვა არამეზობელი ქვეყნის რეზიდენტების უმეტესობა საქართველოს პირველად ეწვია (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა - 58.7%; „სხვა ევროპა“ – 60.6%, „სხვა ქვეყნები“ – 71.4%) (გრაფიკი 4).

ყველაზე მეტი ახალი ვიზიტი საქართველოში 2018 წლის ივლისი-აგვისტოს პერიოდში განხორციელდა (შესაბამისად 14.9% და 17.6%), ხოლო ყველაზე ნაკლები ახალი ვიზიტი (3.3%) კი თებერვალში დაფიქსირდა.

გრაფიკი 4: ვიზიტის პრაქტიკა



რა ხანგრძლივობით მოგზაურობენ საერთაშორისო ვიზიტორები?

ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა 4.2 ღამეს შეადგენდა და ეს მაჩვენებელი განსხვავდებოდა სხვადასხვა ქვეყნის რეზიდენტების მიხედვით. მეზობელი ქვეყნების რეზიდენტები საქართველოში შედარებით ხანმოკლე პერიოდით ჩერდებიან, რუსეთის რეზიდენტების გარდა, რომლებიც საქართველოში ხანგრძლივად, საშუალოდ 6.3 ღამით რჩებიან. ვიზიტის ხანგრძლივობით ასევე გამოირჩევიან ევროპელები (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა - 7.7 ღამე, სხვა ევროპა - 8.3 ღამე) და „სხვა ქვეყნების“ ვიზიტორები. ამ უკანასკნელი ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები საქართველოში საშუალოდ 7.2 ღამით რჩებიან. (ცხრილი 3).

ვიზიტორები ყველაზე ხანგრძლივი პერიოდით, 5 ღამით, სექტემბრის თვეში რჩებიან საქართველოში, ხოლო ყველაზე ხანმოკლე საშუალო ვიზიტი ნოემბერში ფიქსირდება და 3.2 ღამეს შეადგენს.

ცხრილი 3: საშუალო გაჩერების ხანგრძლივობა

რეზიდენტობის ქვეყანა	საშუალო ღამისთევა
აზერბაიჯანი	2.5
თურქეთი	1.6
რუსეთი	6.3
სომხეთი	1.8
ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა	7.7
სხვა ევროპა	8.3
სხვა ქვეყნები	7.2

რომელ ქალაქებს და რეგიონებს სტუმრობენ უცხოელი ვიზიტორები?

საერთაშორისო ვიზიტების 52.3% საქართველოს დედაქალაქში განხორციელდა, მას მოჰყვება ბათუმი 29%-ით. დანარჩენ ქალაქებსა და ადგილებში შედარებით ნაკლები ვიზიტები დაფიქსირდა, მათ შორის: მარნეულში (11.7%), მცხეთაში (9.9%), ყაზბეგში (8.9%), გუდაურში (4.9%), სიღნაღში (4.8%), ქუთაისში (4.6%), თელავსა (3.7%) და ბორჯომში (3.4%) (გრაფიკი 5).

გრაფიკი 5: ყველაზე ხშირად მონახულებული ტურისტული ადგილები



ვიზიტების უმეტესობა 52.3% რეგიონულ დონეზე თბილისში განხორციელდა, შემდეგ მოდის აჭარა 30.4%, მცხეთა-მთიანეთი 19.5% და ქვემო ქართლი 16.6%. დანარჩენი რეგიონებიდან ყველაზე მეტი ვიზიტი განხორციელდა კახეთში 8.6%, სამცხე-ჯავახეთსა 8.2% და იმერეთში 5%.

რომელი ინფორმაციის წყაროებით სარგებლობენ საერთაშორისო ვიზიტორები?

საქართველოში ჩამოსვლამდე ვიზიტორებმა სხვადასხვა ინფორმაციის წყარო გამოიყენეს. ვიზიტების 54.1%-ის შემთხვევაში მათ ინფორმაცია მეგობრებისგან/ახლობლებისგან მოიძიეს, ვიზიტების 15.7%-ისთვის საქართველოს შესახებ ინფორმაციის წყაროს ინტერნეტი წარმოადგენდა, ხოლო 14.6%-მა ამისათვის ტელევიზია / რადიო გამოიყენა. ვიზიტების უმეტესობისთვის (53.6%) ვიზიტორს უკვე მოეპოვებოდა ინფორმაცია წინა ვიზიტიდან. ვიზიტორების დიდი ნაწილი, რომლებიც პირველად იმყოფებოდა საქართველოში, ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოსაძიებლად მეგობრებს და ნათესავებს დაეკითხა (73.1%), 39.9%-მა ინფორმაცია ინტერნეტით მოიძია, ხოლო 16.6%-ისთვის ინფორმაციის წყარო ტელევიზია / რადიო იყო (გრაფიკი 6).

გრაფიკი 6: ინფორმაციის წყარო



როგორია საერთაშორისო ვიზიტორების დემოგრაფიული პროფილი?

ვიზიტორების უმრავლესობა მამრობითი სქესის წარმომადგენელი იყო (მამრობითი – 60.3%; მდედრობითი – 39.7%). 31 – 50 წლის ასაკობრივი კატეგორია საერთაშორისო ვიზიტორების ყველაზე დიდ ნაწილს შეადგენდა (46.3%) (გრაფიკი 7).

გრაფიკი 7: ასაკობრივი ჯგუფები



ვისთან ერთად ხორციელდება საერთაშორისო ვიზიტები?

საერთაშორისო ვიზიტების 30.8% მარტო ხორციელდებოდა, ხოლო დანარჩენები ვიზიტების დროს ვიზიტორებს სულ მცირე ერთი კომპანიონი ჰყავდათ, რომელიც ხშირ შემთხვევაში ოჯახის წევრი ან ნათესავი იყო (42.2%). ვიზიტების 25.4%-ისთვის კი ვიზიტორის თანხმლები პირი მეგობარი იყო (გრაფიკი 8).

გრაფიკი 8: ვიზიტისას თანმხლები პირი



მამაკაცები უფრო ხშირად მგზავრობდნენ მარტო (34.7%) ვიდრე მდედრობითი სქესის წარმომადგენლები (23.9%). ვიზიტების ნახევარზე მეტი (55.3%) ქალების მიერ ოჯახთან ან ნათესავებთან ერთად ხორციელდება, ანალოგიური მაჩვენებელი მამაკაცების შემთხვევაში 34.7%-ს შეადგენს.

რომელი განთავსების საშუალებებში ათევენ ღამეს საერთაშორისო ვიზიტორები?

2018 წელს საქართველოში ჩამოსული საერთაშორისო ვიზიტორების ჯამური ღამისთევების რაოდენობა 30,183,344-ს შეადგენდა. მათ შორის, ყველაზე მეტი ღამისთევა (39.6%) სასტუმროში განხორციელდა, ერთ მეოთხედზე მეტი კი (26.5%) მეგობრის, ნათესავის სახლში. სხვა ტიპის განთავსების საშუალებები ვიზიტორებს შორის ნაკლებად პოპულარულია (ღამისთევების 12.7% სასტუმრო სახლში, ხოლო 11.7% კი ნაქირავებ ბინაში განხორციელდა) (გრაფიკი 9).

გრაფიკი 9: განთავსების საშუალებები



საშუალო ღამისთევების რაოდენობა ყველაზე დიდი საკუთარ სახლში იყო (8.2 ღამე), შემდეგ მოდის ნაქირავები ბინა (7.1 ღამე), საავადმყოფო (5.4 ღამე), მეგობრის/ნათესავის სახლი (5.1 ღამე), სასტუმრო სახლი (4.2 ღამე), სასტუმრო (3.9 ღამე) და კემპინგი (2.5 ღამე).

ზაფხულის პერიოდში ვიზიტების 43% სასტუმროში განხორციელდა. ასევე ხშირი იყო მეგობრის, ნათესავის სახლში (21.6%) და სასტუმრო სახლში (14.3%) განხორციელებული ვიზიტები.

რამდენს შეადგენს საერთაშორისო ვიზიტორების განხორციელებული დანახარჯები?

საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული დანახარჯების ჯამურმა მაჩვენებელმა 7.9 მილიარდ ლარს მიაღწია, ხოლო ერთი ვიზიტისას გაწეულმა საშუალო დანახარჯმა 1,099.1 ლარი შეადგინა.

დანახარჯების ყველაზე დიდი წილი საკვებსა და სასმელზე (მთლიანი ხარჯები 28.6%) და განთავსების საშუალებებზე (23.4%) დაფიქსირდა. ასევე მნიშვნელოვანი წილით იყო წარმოდგენილი რეკრეაციულ და კულტურულ აქტივობებზე დანახარჯები (18.1%), ხოლო შოპინგზე ვიზიტორებმა მთლიანი დანახარჯების მხოლოდ 13.6% გასწიეს. დანახარჯების დეტალური ჩაშლა ქვემოთ არის მოცემული (ცხრილი 4).

ცხრილი 4: დანახარჯების სტრუქტურა

დანახარჯების კომპონენტები	მთლიანი დანახარჯი (ათასი ლარი)	წილი %
საკვები და სასმელი	2,266,881.1	28.6%
განთავსების საშუალებები	1,854,514.2	23.4%
რეკრეაცია, კულტურული და სპორტული აქტივობები	1,434,705.2	18.1%
შოპინგი	1,074,094.3	13.6%
ადგილობრივი ტრანსპორტი	560,769.3	7.1%
სხვა დანახარჯები	726,539.9	9.2%

მეზობელი ქვეყნებიდან რუსეთის რეზიდენტები ვიზიტზე ყველაზე მაღალი საშუალო დანახარჯით (1,326 ლარი) გამოირჩეოდნენ, მას მოსდევს თურქეთი 923 ლარი, სომხეთი - 540 ლარი და აზერბაიჯანი - 385 ლარი (ცხრილი 5).

ცხრილი 5: საშუალო დანახარჯები ქვეყნების მიხედვით

რეზიდენტობის ქვეყანა	საშუალო დანახარჯი (ლარი)
აზერბაიჯანი	385
თურქეთი	923
რუსეთი	1,326
სომხეთი	540
ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა	1,888
სხვა ევროპა	2,337
სხვა ქვეყნები	2,357

რამდენი ვიზიტი ხორციელდება ტურისტული პაკეტის საშუალებით?

საერთაშორისო ვიზიტების 95%-ის შემთხვევაში ვიზიტორებს არ უსარგებლიათ ტურისტული პაკეტით. შეძენილი ტურისტული პაკეტით განხორციელებულ ვიზიტებში უცხოური და ქართული ტუროპე-რატორების გადანაწილება შესაბამისად 4.5% და 0.5% იყო. ჯამში 2018 წელს ტურისტული პაკეტის შესაძენად საერთაშორისო ვიზიტორებმა 804.9 მლნ. ლარი გადაიხადეს (გრაფიკი 10).

გრაფიკი 10: ტურისტული პაკეტის გამოყენება



რომელია ტურიზმის პოპულარული აქტივობები?

ვიზიტისას ყველაზე ხშირად განხორციელებულ აქტივობებში შოპინგი (67%) და ადგილობრივი სამზარეულოს და ღვინის დაგემოვნება (66.6%) დაფიქსირდა. მას მოსდევს ღირსშესანიშნაობების, კულტურული და ისტორიული ძეგლების მონახულება (42.4%) (გრაფიკი 11).

გრაფიკი 11: პოპულარული აქტივობები



რამდენად კმაყოფილები არიან საერთაშორისო ვიზიტორები?

საერთაშორისო ვიზიტების 34.1%-ის შემთხვევაში ვიზიტორი კმაყოფილი იყო განხორციელებული ვიზიტით, 53.9% - ძალიან კმაყოფილი, ხოლო 1.5%-მა თავი შეიკავა პასუხის გაცემისგან. ზოგადი კმაყოფილების დონე 4.4-ს შეადგენდა (5-დან).

ვის მიერ ხორციელდება საერთაშორისო ვიზიტები ეკონომიკური აქტივობის მიხედვით?

საერთაშორისო ვიზიტების უმრავლესობა დაქირავებული მომუშავეების მიერ განხორციელდა (55.5%). შემდეგ მოდის თვითდასაქმებულის (12.9%) და დამსაქმებლის (8.7%) კატეგორია (გრაფიკი 12).

გრაფიკი 12: საერთაშორისო ვიზიტების განაწილება ვიზიტორის ეკონომიკური აქტივობის მიხედვით



მეთოდოლოგია

სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების მიზნით სტატისტიკის ეროვნული სამსახური ატარებს საერთაშორისო ვიზიტორების გამოკითხვას. მონაცემების შეგროვება ხორციელდება პირისპირი ინტერვიუების ტექნიკის გამოყენებით. მეთოდოლოგია დაფუძნებულია მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებზე.

ინტერვიუები ტარდება 15 წლის და უფროსი ასაკის საერთაშორისო ვიზიტორებთან, რომლებიც ტოვებენ საქართველოს ტერიტორიას. ინტერვიუები ტარდება სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში.

ცხრილი 6: შერჩევის ზომა საზღვრების მიხედვით

საზღვრის ტიპი	საზღვრის დასახელება	შერჩევის ზომა
აეროპორტი	თბილისის აეროპორტი	1572
აეროპორტი	ბათუმის აეროპორტი	240
აეროპორტი	ქუთაისის აეროპორტი	300
სახმელეთო საზღვარი	სარფი	4392
სახმელეთო საზღვარი	ვალე	252
სახმელეთო საზღვარი	ნინოწმინდა	432
სახმელეთო საზღვარი	სადახლო	1488
სახმელეთო საზღვარი	წითელი ხიდი	1752
სახმელეთო საზღვარი	ცოდნა	504
სახმელეთო საზღვარი	ყაზბეგი	1068

კვლევა პროცესში გამოიკითხა 12,000-მდე რესპონდენტი. მონაცემების შეწონვა და შესაბამის პერიოდებზე განზოგადება განხორციელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებულ საზღვრის კვეთის მონაცემებზე დაყრდნობით. მეთოდოლოგიის მოკლე აღწერა მოცემულია ქვემოთ:

ცხრილი 7: კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა

კვლევის მეთოდოლოგია	რაოდენობრივი კვლევა
კვლევის ტექნიკა	პირისპირი ინტერვიუ
კვლევის არეალი	საქართველო
სამიზნე ჯგუფი	15 წლის და უფროსი ასაკის საერთაშორისო ვიზიტორები
შერჩევის ზომა	12,000 რესპონდენტი
ინტერვიუს ხანგრძლივობა	10-12 წუთი

რეზიდენტობის ჭრილში მეზობელი ქვეყნების მონაცემები გაანალიზებულია განცალკევებულად – თურქეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი. დანარჩენი ქვეყნები გაერთიანებულია შემდეგ კატეგორიებში: „ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა“, „დანარჩენი ევროპა“ და „სხვა“.

კატეგორიაში „ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა“ შემდეგი ქვეყებია გაერთიანებული: ბელარუსი, ბულგარეთი, ჩეხეთი, ესტონეთი უნგრეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ლატვია, ლიტვა, მოლდოვა, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა და უზბეკეთი.

კატეგორიაში „დანარჩენი ევროპა“ გაერთიანებულია: ავსტრია, ბელგია, ხორვატია, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, ისრაელი, იტალია, მალტა, ნორვეგია, ჰოლანდია, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია და გაერთიანებული სამეფო.

ქვეყნები, რომლებიც ზემოთ ჩამონათვალში არ ფიგურირებენ გაერთიანებულია „სხვა“ კატეგორიაში, ამ ქვეყნებიდან შემოსული მოგზაურების სიმცირის გამო.

ანგარიში მომზადდა საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კვლევებისა და დაგეგმვის სამმართველოს მიერ.
ტელ: +995 322 43 69 99 (18 20)

ელ. ფოსტა: infostatistics@gnta.ge

ანგარიში ატვირთულია ვებ-გვერდზე: www.gnta.ge